თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5983415

ნომერი: AR1904914

თარიღი : 07.06.2022

გაცემის თარიღი : 14.06.2022

გაცნობის თარიღი : 14.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბიჭვინთის III ჩიხი, N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან დევაძე პ/ნ 01030015659
- ტყეკულტურის III შესახვევი ბინა #7

ორგანიზაცია:
- შპს სოლუმ დეველოპმენტი კოდი: 405148086

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2022 წლის 7 ივნისის №AR1904914 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 7 ივნისს №AR1904914 განცხადებით მომართა ლევან დევაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბიჭვინთის III ჩიხი №13-ში მდებარე №01.11.04.005.194 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (A, B და C ბლოკების) არქიტექტურული პროექტი.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად 558.6 კვ.მ-ის ნაცვლად 740.0 კვ.მ-ის, სარდაფის ფართობად 478.4 კვ.მ-ის ნაცვლად 472.8 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 534.2 კვ.მ-ის ნაცვლად 573.8 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 7920.0 კვ.მ-ის ნაცვლად 8135.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გენ-გეგმას, ასევე გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ კომერციულ და სარდაფის (საწყობის) ფართობებში არასწორად არის ჩათვლილი კოლონებისა და საჰაერო შახტების ფართობები. ამასთან, შეთანხმებული დოკუმენტაციით, მათ შორის გენ-გეგმით ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტებისთვის გათვალისწინებულია არა შიდა, არამედ ღია ავტოსადგომები, რომელიც არ იანგარიშება არცერთ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, მათ შორის ავტოსადგომისა და საერთო ფართობებში, თუმცა შესაძლებელია აღნიშნული ფართობი დაფიქსირდეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე. გაითვალისწინეთ, რომ შეთანხმებული გენ-გეგმის მიხედვით, ზოგიერთ ღია ავტოსადგომზე არ არის დატანილი შესაბამისი ზომები და ფართობები, მაგ: „A“ ბლოკისთვის განკუთვნილი №12 და „B“ ბლოკისთვის გათვალისწინებული №22 ღია ავტოსადგომები წარმოადგენს შშმპ-სთვის განკუთვნილს და მასზე არ არის შესაბამისი ზომები და სწორი ფართობები მითითებული, კერძოდ საჭიროა აღნიშნულ ღია ავტოსადგომებზე დატანილ იქნეს ზომები მისადგომის ჩათვლით და შესწორდეს ფართობებიც.

განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ემუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:

1.1. დააზუსტოს მოთხოვნა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ავტოსადგომის (შიდა) ფართობის ამოღებასა და საპროექტო შენობებისთვის გათვალისწინებული ღია ავტოსადგომის ფართობის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

1.2. დააზუსტოს მოთხოვნა კომერციულ, სარდაფის და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.

1.3. წარმოადგინოს სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმის იდენტური შესწორებული გენ-გეგმა და არქიტექტურული გეგმების იდენტური მხოლოდ ის არქიტექტურული გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), რომლებზეც ხდება ფართობების დაზუსტება.

2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2022 წლის 7 ივნისის №AR1904914 განცხადება დარჩეს განუხილველი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge